ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსი ადგენს პროფესიული პრაქტიკის მინიმალურ სტანდარტებს მუზეუმებისა და მათი თანამშრომლებისათვის. ICOM-ის წევრად მიღებისთანავე, ორგანიზაციის თითოეული წევრი ეთანხმება და ემორჩილება ამ კოდექსის მოთხოვნებს.

ICOM-ის პროფესიული ეთიკის კოდექსი ერთხმად იქნა მიღებული ICOM-ის მე-15 გენერალური ასამბლეის (1986 წლის 4 ნოემბერი, ბუენოს-აირესი, არგენტინა) მონაწილეთა მიერ. მე-20 გენერალურ ასამბლეაზე (2001 წლის 6 ივლისი, ბარსელონა, ესპანეთი) კოდექსის ტექსტში შეტანილი იქნა ცვლილებები, ხოლო თვით დოკუმენტს ეწოდა *ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსი.* 2004 წლის 8 ოქტომბერს კოდექსის ახალი რედაქცია დაამტკიცა ICOM-ის 21-ე გენერალურმა ასამბლეამ (სეული, კორეა).

ეთიკის კოდექსი, რომელიც თავდაპირველად ICOM-ის სამ ოფიციალურ ენაზე გამოქვეყნდა, თარგმნილია სხვა მრავალ ენაზე ICOM-ის კომიტეტების მიერ.

ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსის ინგლისურიდან ქართული თარგმანის წინამდებარე ვერსია შესრულდა 2020 წელს.

ICOM international council of museums

ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსი

ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსი

© ICOM, 2017
Dépôt légal juin 2017
ISBN 978-92-9012-420-7

© ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
© საქართველოს მუზეუმების ასოციაცია
ISBN - 978-9941-8-2592-7 კოდექსის ქართული თარგმანის გამოცემა. 2020
თარგმანი ინგლისურიდან: ლანა ქარაია; რედაქტორი: ინგა ქარაია. 2020

ICOM international council of museums Georgia

© ICOM Georgia
ISBN - 978-9941-8-2592-7 The publication of Georgian translated version of *ICOM Code of Ethics* for Museums. 2020
Translated by Lana Karaia; Edited by Inga Karaia. 2020

ICOM-ის სამუზეუმო

ეთიკის

კოდექსი

პრეამბულა

ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსი შემუშავდა მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს (ICOM) მიერ. მასში მოცემულია მუზეუმების საქმიანობის ეთიკური საფუძვლები ICOM-ის დებულების თანახმად. კოდექსი ასახავს საერთაშორისო სამუზეუმო საზოგადოების მიერ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. ICOM-ში გაწევრიანება და ყოველწლიური საწევრო გადასახადის გადახდა წევრებს ავალდებულებს დაიცვან *ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსის დებულებები.*

ICOM-ის კოდექსი წარმოადგენს მინიმალურ სტანდარტებს მუზეუმებისათვის. კოდექსში მოცემულია ძირითადი პრინციპები, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს პროფესიულ პრაქტიკას. ზოგიერთ ქვეყანაში მინიმალური პროფესიული სტანდარტები განსაზღვრულია კანონით ან სახელმწიფო რეგულაციებით. რიგ ქვეყნებში კი, მინიმალური პროფესიული სტანდარტების შეფასება შეიძლება ხდებოდეს „აკრედიტაციის", „რეგისტრაციის" ან სხვა ანალოგიური პროცედურების მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი სტანდარტები არ არის განსაზღვრული, რეკომენდაციების მიღება შეიძლება ICOM-ის სამდივნოსაგან, ICOM-ის ეროვნული ან შესაბამისი საერთაშორისო კომიტეტისაგან. ამასთან, ნაგულისხმევია, რომ ცალკეულმა ქვეყნებმა ან მუზეუმებთან დაკავშირებულმა ორგანიზაციებმა მოცემული კოდექსი უნდა გამოიყენონ დამატებითი სტანდარტების შემუშავების საფუძვლად.

ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსი გამოქვეყნებულია ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. ICOM მიესალმება კოდექსის სხვა ენებზე თარგმნას, რისთვისაც შეიმუშავა თარგმნის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს ICOM-ის სამდივნოსაგან.

ეთიკის საკითხები, რომელიც ICOM-ის ეთიკის კომიტეტის ყურადღებას და/ან განხილვას მოითხოვს, შეიძლება მიეწოდოს ამ კომიტეტის თავმჯდომარეს ელ-ფოსტის მეშვეობით:
ethics@icom.museum

შინაარსი

1 I. მუზეუმები იცავენ კაცობრიობის ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობას, ახდენენ მის ინტერპრეტაციას და პოპულარიზაციას.
3 ინსტიტუციური საკითხები
3 ფიზიკური რესურსები
4 ფინანსური რესურსები
5 პერსონალი

7 II. მუზეუმები საზოგადოების ნდობის თანახმად ინახავენ კოლექციებს საზოგადოების სასიკეთოდ და მისი განვითარებისათვის.
9 კოლექციების დაკომპლექტება
12 კოლექციების გასხვისება
14 კოლექციების დაცვა

17 III. მუზეუმებში დაცული ძირითადი მტკიცებულებები წარმოადგენენ პირველწყაროს ცოდნის გავრცელებისა და გაღრმავებისთვის.
19 პირველწყაროები
19 სამუზეუმო კოლექციონირება და კვლევა

23 IV. მუზეუმები ქმნიან ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის აღიარების, აღქმისა და მართვის შესაძლებლობებს.
25 გამოფენა და ექსპოზიცია
26 სხვა რესურსები

27 V. მუზეუმები ფლობენ რესურსებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა ინსტიტუციების მიერ და ზოგადად, საზოგადოების საკეთილდღეოდ.
29 იდენტიფიცირების სერვისები

31 VI. მუზეუმები მჭიდროდ თანამშრომლობენ საზოგადოების იმ ჯგუფებთან, საიდანაც მათი კოლექციები მომდინარეობს და ვისაც ემსახურებიან.
33 კოლექციების წარმომავლობა
34 პატივისცემა საზოგადოების იმ ჯგუფებისადმი, ვისაც მუზეუმი ემსახურება

35 VII. მუზეუმები მოქმედებენ კანონის ფარგლებში.
37 საკანონმდებლო ჩარჩოები

39 VIII. მუზეუმები მოქმედებენ პროფესიულად.
41 პროფესიული ქცევა
43 ინტერესთა კონფლიქტი

47 ლექსიკონი

— I —

მუზეუმები იცავენ კაცობრიობის ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობას, ახდენენ მის ინტერპრეტაციას და პოპულარიზაციას.

პრინციპი:

მუზეუმები პასუხისმგებელნი არიან მატერიალური და არამატერიალური კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაზე. მმართველ ორგანოს და მუზეუმების სტრატეგიული მიმართულებების განმსაზღვრელ და საქმიანობის მაკონტროლებელ სხვა ორგანოებს აქვთ პირველადი პასუხისმგებლობა - ხელი შეუწყონ ამ მემკვიდრეობის დაცვას და პოპულარიზაციას, აგრეთვე გახადონ ხელმისაწვდომი ადამიანური, ფიზიკური და ფინანსური რესურსები ამ მიზნის მისაღწევად.

ინსტიტუციური საკითხები

1.1 იურიდიული დოკუმენტაცია

ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, მმართველმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მუზეუმის წესდების, დებულების ან სხვა დოკუმენტის შემუშავება და გამოქვეყნება, რომელშიც ნათლად უნდა განისაზღვროს მუზეუმის იურიდიული ფორმა, მისია, მისი მუდმივმოქმედი და არაკომერციული ხასიათი.

1.2 მისია, ამოცანები და პოლიტიკა

მმართველმა ორგანომ უნდა მოამზადოს, გამოაქვეყნოს და იხელმძღვანელოს დოკუმენტით, რომელიც ასახავს მუზეუმის მისიას, ამოცანებს და პოლიტიკას, ასევე მმართველი ორგანოს შემადგენლობას და როლს.

ფიზიკური რესურსები

1.3 შენობა

მმართველმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მუზეუმის განთავსება შესაბამის შენობასა და ტერიტორიაზე, რათა მუზეუმმა შეძლოს საკუთარი მისიით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელება.

1.4 ხელმისაწვდომობა

მმართველმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მუზეუმისა და კოლექციების ყველასთვის ხელმისაწვდომობა რეგულარულად და განსაზღვრულ საათებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებს.

1.5 ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

მმართველმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და ხელმისაწვდომობის ინსტიტუციური სტანდარტები ვრცელდებოდეს თანამშრომლებსა და ვიზიტიორებზე.

1.6 კატასტროფებისაგან დაცვა

მმართველმა ორგანომ უნდა შეიმუშაოს სტიქიური უბედურებებისა და ანთროპოგენური კატასტროფებისაგან საზოგადოებისა და თანამშრომლების, კოლექციებისა და სხვა რესურსების დაცვის პოლიტიკა.

1.7 უსაფრთხოების მოთხოვნები

მმართველმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს ქურდობისა და დაზიანებისაგან კოლექციების დაცვის სათანადო უსაფრთხოება საგამოფენო ვიტრინებში, საექსპოზიციო დარბაზებში, ფონდსაცავებსა და სამუშაო სივრცეში, ასევე ტრანსპორტირების პროცესში.

1.8 დაზღვევა და კომპენსაცია

კოლექციების კომერციული დაზღვევის შემთხვევაში, მმართველმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს ადექვატური სადაზღვევო პირობები, რაც ვრცელდება ტრანსპორტირებულ ნივთებზე ან დროებითი სარგებლობისათვის გადაცემულ და სხვა საგნებზე, რომლებზეც მუზეუმს აკისრია პასუხისმგებლობა. ასევე, აუცილებელია გადამოწმდეს იმ მასალების დაზღვევის პირობების ადექვატურობაც, რომლებიც არ წარმოადგენს მუზეუმის საკუთრებას.

ფინანსური რესურსები

1.9 დაფინანსება

მმართველმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს საკმარისი ფინანსური სახსრების მოძიება მუზეუმის საქმიანობის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის. ფინანსური აღრიცხვა უნდა განხორციელდეს პროფესიონალურ დონეზე.

1.10 შემოსავლების მიღების პოლიტიკა

მმართველ ორგანოს უნდა გააჩნდეს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მუზეუმის მიერ საკუთარი საქმიანობის შედეგად შემოსავლის მიღებისა თუ სხვა წყაროებიდან დამატებითი სახსრების მოზიდვის პოლიტიკას. მიუხედავად დაფინანსების წყაროებისა, მუზეუმი დამოუკიდებლად უნდა აწარმოებდეს საკუთარი პროგრამების, ექსპოზიციებისა და საქმიანობის შინაარსის მონიტორინგს. მუზეუმისათვის შემოსავლის მომტანი საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ინსტიტუციის საქმიანობის სტანდარტებს და არ უნდა შელახოს მისი რეპუტაცია და საზოგადოებრივი ნდობა (იხ. 6.6).

პერსონალი

1.11 საკადრო პოლიტიკა

მმართველმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს საკადრო პოლიტიკის განხორციელება მუზეუმის ზოგადი პოლიტიკისა და სამართლებრივი პროცედურების შესაბამისად.

1.12 დირექტორის ან ხელმძღვანელის დანიშვნა

მუზეუმში დირექტორის პოსტი წარმოადგენს საკვანძო თანამდებობას. მმართველმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს დირექტორის დანიშვნა კანდიდატის ცოდნისა და უნარების გათვალისწინებით. ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და პროფესიონალიზმთან ერთად, ეს უნარები უნდა შეიცავდეს ქცევის ეთიკურ ნორმებსაც.

1.13 მმართველი ორგანოსთან წვდომა

მუზეუმის დირექტორი ან ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია მის შესაბამის მმართველ ორგანოსთან და მასთან უნდა ჰქონდეს პირდაპირი წვდომა.

1.14 თანამშრომლების კომპეტენცია

აუცილებელია სამუშაოდ მიღებული იქნენ კვალიფიციური თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებლობით მოეკიდებიან მუზეუმში მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას (იხ. აგრეთვე 2.19; 2.24; და პარაგრაფი 8).

1.15 პერსონალის ტრენინგი

მუზეუმის პერსონალის ეფექტური მუშაობისათვის აუცილებელია გამოყენებული იქნეს ყველა სათანადო საშუალება უწყვეტი განათლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების სისტემაში თანამშრომელთა ჩართვისათვის.

1.16 ეთიკური კონფლიქტი

მუზეუმის ხელმძღვანელობამ არ უნდა მოითხოვოს მუზეუმის თანამშრომლებისაგან იმგვარი ქმედება, რაც შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის წინამდებარე კოდექსის დებულებებთან, ეროვნულ კანონებთან და სხვა ნებისმიერ ნორმატიულ დოკუმენტთან, რომელიც არეგულირებს პროფესიული ეთიკის ნორმებს.

1.17 მუზეუმის პერსონალი და ვოლონტიორები

მუზეუმის ხელმძღვანელობას უნდა ჰქონდეს ვოლონტიორებთან მუშაობის პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტი, რაც ემყარება მუზეუმის თანამშრომლებსა და ვოლონტიორებს შორის დადებითი ურთიერთთანამშრომლობის იდეას.

1.18 ვოლონტიორები და ეთიკა

მუზეუმის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს ვოლონტიორთათვის *ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსის* გაცნობა და თვალყური უნდა ადევნოს, თუ როგორ იცავენ ისინი კოდექსის დებულებებს და სხვა შესაბამის რეგულაციებს როგორც მუზეუმში, ასევე მუზეუმს გარეთ.

— II —

ᲛᲣᲨᲔᲣᲛᲔᲑᲘ ᲡᲐᲨᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲜᲓᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲔᲜ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲡ ᲡᲐᲨᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝᲓ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

პრინციპი

მუზეუმების მოვალეობას წარმოადგენს კოლექციების დაკომპლექტება, შენახვა და პოპულარიზაცია. ამით მუზეუმებს თავიანთი წვლილი შეაქვთ კაცობრიობის ბუნებრივი, კულტურული და მეცნიერული მემკვიდრეობის დაცვაში. სამუზეუმო კოლექციები წარმოადგენს საზოგადოებრივი მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს, მათ გააჩნიათ განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი და დაცულია საერთაშორისო კანონმდებლობით. საზოგადოების ნდობის თანახმად კოლექციების მართვის პროცესში, მუზეუმი მოქმედებს კოლექციაში დაცული ნივთების კანონიერი ფლობის საფუძველზე, კოლექციების მუდმივობის, დოკუმენტირების, ხელმისაწვდომობისა და კოლექციის საპასუხისმგებლო მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პრინციპებით.

კოლექციების დაკომპლექტება

2.1 კოლექციების პოლიტიკა

მუზეუმის ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშავოს და გამოაქვეყნოს დოკუმენტი, რომელიც განმარტავს მის პოლიტიკას კოლექციების შეძენის, დაცვისა და გამოყენების მიმართულებით. ამ პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს ასევე ყველა იმ მასალის სტატუსიც, რომლებიც არ ექვემდებარება კატალოგიზაციას, კონსერვაციას ან ექსპონირებას (იხ. 2.7; 2.8).

2.2 საკუთრების ლეგიტიმურობა

არცერთი ნივთი და ბუნებრივი ნიმუში არ უნდა იქნეს შეძენილი, საჩუქრად ან მემკვიდრეობით, დროებით სარგებლობაში ან გაცვლით მიღებული, თუკი მუზეუმი, რომელიც იღებს ამ ნივთს, სრულად არ არის დარწმუნებული, რომ მას გააჩნია კანონიერი სტატუსი. ქვეყანაში კანონიერი საკუთრების მოწმობა არ წარმოადგენს კანონიერი სტატუსის ლეგიტიმურობის მტკიცებულებას.

2.3 წარმომავლობა და სათანადო განხილვა

ნივთის ან ბუნებრივი ნიმუშის შეძენის, ჩუქების, დროებით სარგებლობაში გადმოცემის, გაცვლის გზით ან ანდერძით მიღებამდე, მუზეუმი უნდა დარწმუნდეს, რომ ნივთი არ არის უკანონოდ მოპოვებული ან გატანილი მისი წარმომავლობის ქვეყნიდან ან რომელიმე შუამავალი ქვეყნიდან, სადაც იგი კანონიერ მფლობელობაში იყო (იმ ქვეყნის ჩათვლით, სადაც მუზეუმი მდებარეობს). ამ შემთხვევაში, ნივთის წარმომავლობის გულდასმით შესწავლის ვალდებულება მდგომარეობს საგნის სრული ისტორიის გამოკვლევაში, მოყოლებული მისი აღმოჩენისა თუ შექმნის მომენტიდან.

2.4 არამეცნიერული ან უნებართვო სამუშაოების შედეგად მოპოვებული ნივთი ან ნიმუში

მუზეუმმა არ უნდა შეიძინოს და შესანახად არ უნდა მიიღოს ნივთები, თუკი არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ იგი მოპოვებულია არქეოლოგიური ან გეოლოგიური ძეგლის ან ობიექტის, რაიმე სახეობის ან ადამიანის ბუნებრივი საცხოვრისისაკენ მიმართული უკანონო ან წინასწარგანზრახული დამაზიანებელი, გამანადგურებელი ან არამეცნიერული ქმედებების შედეგად. ამასთან, მუზეუმმა არ უნდა მიიღოს შესანახად ისეთი ნივთი, რომლის ამა თუ იმ ტერიტორიაზე აღმოჩენის ფაქტი უცნობია მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის, ან ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისათვის.

2.5 კულტურის სენსიტიური ნიმუშები

კოლექცია, რომელიც შედგება ადამიანის ნაშთების ან საკრალური ნივთებისაგან, შეიძლება მუზეუმმა შესანახად მიიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი უზრუნველყოფილი იქნება მათი საიმედოდ დაცვისა და სათანადო პატივისცემით მოპყრობის პირობები. ასეთ მასალებზე მუშაობა უნდა განხორციელდეს პროფესიული სტანდარტების სრული დაცვით და, ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, იმ ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების რწმენისა და ინტერესების გათვალისწინებით, ვისაც თავდაპირველად ეკუთვნოდა ეს ნივთები (იხ. 3.7; 4.3).

2.6 მუზეუმში დაცული ბიოლოგიური და გეოლოგიური ნიმუშები

დაუშვებელია მუზეუმმა შესანახად მიიღოს ბიოლოგიური და გეოლოგიური ნიმუშები, თუკი ისინი შეგროვებული, გაყიდული ან გადაცემულია ადგილობრივი, ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობისა და იმ შეთანხმებების დარღვევით, რომელიც არეგულირებს ველური ბუნებისა და გარემოს დაცვის საკითხებს.

2.7 ცოცხალ ნიმუშთა კოლექციები

იმ შემთხვევაში, როდესაც კოლექცია შეიცავს ცოცხალ ბოტანიკურ ან ზოოლოგიურ ნიმუშებს, აუცილებელია იმ ბუნებრივი და სოციალური გარემოს გათვალისწინება, საიდანაც ისინი იქნა მოპოვებული; ასევე, ადგილობრივი, ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო კანონმდებლობისა და იმ შეთანხმებების გათვალისწინება, რომლებიც არეგულირებს ველური ბუნებისა და გარემოს დაცვის საკითხებს.

2.8 მოქმედი კოლექციები

კოლექციების პოლიტიკა შეიძლება გულისხმობდეს იმგვარი მოქმედი კოლექციების შექმნას, რომელთა ძირითად მიზანს წარმოადგენს არა საკუთრივ ნივთების დაცვა, რამდენადაც მათი კულტურული, სამეცნიერო ან ტექნიკური პროცესების შენარჩუნება, ან ისეთი კოლექციების დაკომპლექტება, როცა დასაშვებია საგნებისა და ბუნებრივი ნიმუშების რეგულარულად გამოყენება, მაგალითად, საგანმანათლებლო მიზნით (იხ. აგრეთვე 2.1).

2.9 კოლექციები მუზეუმის კოლექციების პოლიტიკის მიღმა

ფონდის დაკომპლექტება მუზეუმის მიერ დეკლარირებული კოლექციონირების პოლიტიკის მიღმა, შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. მუზეუმის ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს პროფესიონალთა აზრი და დაინტერესებულ მხარეთა პოზიცია. კერძოდ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საგნის ან ბუნებრივი ნიმუშის მნიშვნელობა, მათ შორის, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის კონტექსტში, ასევე ამ სახის მასალის მიღებით დაინტერესებული სხვა მუზეუმის პოზიცია. თუმცა მუზეუმმა არ უნდა დაუშვას კოლექციის შევსება ისეთი ნივთებით, რომელთა კანონიერი სტატუსი არ არის დადგენილი (იხ. აგრეთვე 3.4).

2.10 მმართველი ორგანოს წევრების ან მუზეუმის თანამშრომელთა მიერ შემოთავაზებული ნივთების მიღება მუზეუმში

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო მმართველი ორგანოს წარმომადგენლების, მუზეუმის თანამშრომლების, ასევე მათი საქმიანი პარტნიორებისა და ოჯახების წევრთა მიერ მუზეუმისათვის ნივთის მიყიდვის, ჩუქების ან სხვა ნებისმიერი ფორმით შეთავაზების შემთხვევაში.

2.11 უცნობი წარმომავლობის ან უკანონო გზით მოპოვებული საგნები

ამ კოდექსის არცერთი დებულება არ ეწინააღმდეგება იმ გარემოებას, რომ მუზეუმი წარმოადგენდეს უფლებამოსილ სივრცეს უცნობი წარმომავლობის, ასევე უკანონო გზით მოპოვებული იმ საგნებისა და ბუნებრივი ნიმუშების შენახვისათვის, რომლებიც აღმოჩენილია ტერიტორიაზე, სადაც მუზეუმის კანონიერი პასუხისმგებლობა ვრცელდება.

კოლექციების გასხვისება

2.12 გასხვისების კანონიერი და სხვა უფლებები

თუკი მუზეუმს გააჩნია მის კოლექციაში დაცული ნივთების გასხვისების იურიდიული უფლება, ან თუ ნივთი მიღებულია შესაძლო გასხვისების პირობით, მუზეუმი ვალდებულია მკაცრად დაიცვას კანონით ან სხვა, შესაბამისი დადგენილებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და პროცედურა. თუ მუზეუმის მიერ ნივთის მიღება დაკავშირებული იყო გარკვეულ პირობებთან და შეზღუდვებთან, ისინი აუცილებლად უნდა იქნეს შესრულებული; გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარკვევითაა დასაბუთებული აღნიშნული პირობების შესრულების შეუძლებლობა ან, თუ მათი დაცვა პრინციპულად მიუღებელია და სერიოზულ ზიანს აყენებს მუზეუმს. ასეთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია საკითხი გადაწყდეს იურიდიული პროცედურების დაცვით.

2.13 ნივთის ამოღება მუზეუმის კოლექციიდან

ნივთისა და ბუნებრივი ნიმუშის მუზეუმის კოლექციიდან ამოღება უნდა მოხდეს მხოლოდ თითოეული მათგანის მნიშვნელობის, თავისებურებების (აღდგენის შესაძლებლობები), იურიდიული სტატუსის, ასევე მუზეუმისადმი საზოგადოებრივი ნდობის იმ რისკის გათვალისწინებით, რაც შეიძლება გამოიწვიოს ამგვარმა ქმედებამ.

2.14 კოლექციიდან ნივთის ამოღების პასუხისმგებლობა

მუზეუმის კოლექციიდან ნივთის ამოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელია მუზეუმის მმართველი ორგანო, რომელიც მოქმედებს მუზეუმის დირექტორთან და შესაბამისი კოლექციის მცველთან შეთანხმებით. მოქმედი კოლექციებისათვის შეიძლება შემუშავდეს ამოღების სპეციალური პროცედურები (იხ. აგრეთვე 2.7; 2.8.)

2.15 კოლექციიდან ამოღებული ნივთების გასხვისება

ყველა მუზეუმს უნდა ჰქონდეს მკაფიო პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს სამუზეუმო კოლექციიდან ცალკეული ნივთის სამუდამოდ ამოღების დაშვებულ მეთოდებს. ამ მეთოდებს შორისაა ჩუქება, გადაცემა, გაცვლა, გაყიდვა, რეპატრიაცია ან ნივთის განადგურება. ამგვარ შემთხვევებში მუზეუმს ეკარგება ნივთის ფლობის უფლება და იგი სრულად გადაეცემა მიმღებ სუბიექტს. აუცილებელია, მუზეუმში დაცული იყოს დოკუმენტაცია ნივთების გასხვისებაზე გადაწყვეტილების მიღების, გასხვისებული ნივთებისა და მათი განკარგვის პროცედურების შესახებ. რეკომენდებულია, რომ კოლექციიდან ამოღებული ნივთის შეთავაზება უპირველეს ყოვლისა, მოხდეს სხვა მუზეუმისთვის.

2.16 კოლექციების გასხვისებიდან მიღებული შემოსავალი

სამუზეუმო კოლექციები არ შეიძლება განიხილებოდეს ლიკვიდურ აქტივებად. კოლექციიდან ნივთის ან ბუნებრივი ნიმუშების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი ან სხვა სახის კომპენსაცია უნდა მოხმარდეს მხოლოდ და მხოლოდ სამუზეუმო კოლექციებს, რაც, როგორც წესი, გულისხმობს ახალი ნივთების შეძენას კოლექციის გასამდიდრებლად.

2.17 მუზეუმის კოლექციებიდან ამოღებული ნივთების შეძენა

მუზეუმის თანამშრომლებს, მმართველ ორგანოს, ასევე მის საქმიან პარტნიორებს და ოჯახის წევრებს უნდა აეკრძალოთ იმ ნივთების შეძენა, რომლებიც ამოღებულია მუზეუმის იმ კოლექციებიდან, რაზეც ვრცელდება მათი პასუხისმგებლობა.

კოლექციების დაცვა

2.18 კოლექციის უწყვეტობა

მუზეუმმა უნდა შეიმუშავოს და განახორციელოს სტრატეგია, რომელიც მიმართული იქნება იმ მიზნისაკენ, რომ მისი კოლექციები (მუდმივი და დროებითი), ასევე, მათთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს აქტუალური გამოყენებისათვის და მომავალ თაობებს გადაეცეს სრული და შენარჩუნებული სახით, მუზეუმის ხელთ არსებული ცოდნისა და ყველა რესურსის გამოყენებით.

2.19 კოლექციებზე პასუხისმგებლობის დელეგირება

კოლექციების დაცვის პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეს პროფესიონალებს, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ცოდნა, ფლობენ სათანადო უნარებს და შეუძლიათ ამ საქმიანობის კომპეტენტურად განხორციელება (იხ. აგრეთვე 8.11).

2.20 კოლექციების დოკუმენტირება

სამუზეუმო კოლექციების დოკუმენტირება უნდა ხდებოდეს მიღებული პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. ეს დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს თითოეული ნივთის სრულ დასახელებას და აღწერას, ინფორმაციას ისტორიულ კონტექსტთან მისი კავშირის, ამჟამინდელი მდგომარეობის, ჩატარებული კონსერვაციული სამუშაოების, დაცვის პირობებისა და შენახვის ადგილის შესახებ. აუცილებელია, უზრუნველყოფილი იქნეს სათანადო პირობები ამ მონაცემთა შენახვისათვის, ასევე საძიებო სისტემა, რაც ხელმისაწვდომი იქნება მუზეუმის თანამშრომლებისა და სხვა კანონიერი მომხმარებლებისათვის.

2.21 კატასტროფებისგან დაცვა

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შეიარაღებული კონფლიქტის და სხვა ანთროპოგენური ან სტიქიური კატასტროფების სიტუაციებში კოლექციების დაცვის პოლიტიკის შემუშავებას.

2.22 კოლექციებისა და მასთან დაკავშირებული მონაცემების უსაფრთხოება

კოლექციებთან დაკავშირებული მონაცემების გამოქვეყნებისას მუზეუმი ვალდებულია გააკონტროლოს პირად მონაცემთა ან სხვა კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაციის გახმაურება.

2.23 პრევენციული კონსერვაცია

მუზეუმისა და კოლექციების დაცვის პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს პრევენციული კონსერვაცია. სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენელთა ძირითადი ვალდებულებაა, კოლექციებს შეუქმნან და შეუნარჩუნონ დაცვისა და უსაფრთხოების მაქსიმალური პირობები როგორც საცავებში და ექსპოზიციებზე, ასევე ტრანსპორტირების პროცესში.

2.24 კოლექციების კონსერვაცია და რესტავრაცია

მუზეუმის მოვალეობაა, რეგულარულად ჩაატაროს კოლექციების მდგომარეობის მონიტორიგი, რათა გაირკვეს, თუ როდის საჭიროებს ესა თუ ის ნივთი ან ბუნებრივი ნიმუში კონსერვაცია-რესტავრაციის სამუშაოებს. ამგვარი ჩარევის პრინციპულ მიზანს წარმოადგენს ნივთისა თუ ბუნებრივი ნიმუშის მდგომარეობის სტაბილიზაცია. კონსერვაციის ყველა პროცედურა უნდა იყოს დოკუმენტირებული და შექცევადი. ნივთის თავდაპირველ სტრუქტურაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ნათლად უნდა იყოს იდენტიფიცირებული.

2.25 ცოცხალი ცხოველებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა

მუზეუმმა, რომელსაც ჰყავს ცოცხალი ცხოველები, სრული პასუხიმგებლობა უნდა აიღოს მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ვეტერინარული დარგის ექსპერტებთან თანამშრომლობით, მუზეუმმა უნდა შეიმუშავოს სპეციალური კოდექსი, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა, ვიზიტიორებისა და თვით ცხოველების უსაფრთხოებას. გენეტიკური ცვლილები ნათლად უნდა იყოს იდენტიფიცირებული.

2.26 მუზეუმების კოლექციების გამოყენება პირადი მიზნებით

დაუშვებელია, რომ მუზეუმის თანამშრომლებმა, მმართველმა ორგანომ, მათი ოჯახის წევრებმა, საქმიანმა პარტნიორებმა ან სხვებმა პირადი მოხმარებისათვის, თუნდაც დროებით, მოახდინონ მუზეუმის კოლექციის ნივთების ექსპროპრიაცია.

— III —

მუზეუმებში დაცული მტკიცებულებები წარმოადგენენ პირველწყაროს ცოდნის გავრცელებისა და გაღრმავებისთვის

პრინციპი

მუზეუმებს აქვთ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მათ კოლექციებში შეგროვებული და დაცული პირველწყაროების დაცვის, ხელმისაწვდომობისა და ინტერპრეტაციის მიმართულებით.

პირველწყაროები

3.1 კოლექციები და პირველწყაროები

სამუზეუმო კოლექციების პოლიტიკამ ნათლად უნდა გამოიკვეთოს კოლექციების, როგორც პირველწყაროების მნიშვნელობა. პოლიტიკა არ უნდა რეგულირდებოდეს მხოლოდ თანამედროვე ინტელექტუალური ტენდენციებით ან ნივთების ინტერპრეტაციის დღეისათვის მიღებული მეთოდებით.

3.2 კოლექციების ხელმისაწვდომობა

მუზეუმებს აქვთ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა უზრუნველყონ კოლექციებისა და შესაბამისი ინფორმაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა. ხელმისაწვდომობის შეზღუდვა შეიძლება განპირობებული იყოს მხოლოდ კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების მიზნით.

სამუზეუმო კოლექციონირება და კვლევა

3.3 საველე კოლექციონირება

მუზეუმმა, რომელიც ახორციელებს კოლექციის შევსების პროცესს საველე სამუშაოების მეშვეობით, უნდა შეიმუშავოს შესაბამისი სტრატეგია სამეცნიერო სტანდარტებისა და ანალოგიურ შემთხვევებში გამოყენებული ეროვნული და საერთაშორისო კანონებისა თუ შეთანხმებების შესაბამისად. საველე სამუშაოების ორგანიზება უნდა ხორციელდებოდეს ადგილობრივი თემის თვალსაზრისის გათვალისწინებით და მათი კულტურული ტრადიციებისა თუ ბუნებრივი რესურსებისადმი პატივისცემით მოპყრობით; ასევე, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის განვითარების მიზნით.

3.4 პირველწყაროების კოლექციონირება გამონაკლის შემთხვევებში

გამონაკლის შემთხვევებში, უცნობი წარმომავლობის ნივთი შეიძლება იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ცოდნის განვითარებისათვის, რომ, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მუზეუმში უნდა იყოს დაცული. გადაწყვეტილება მუზეუმის მიერ ამ ნივთის შეძენასა და კოლექციაში შეტანაზე მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე (იხ. აგრეთვე 2.11).

3.5 კვლევა

კვლევითი სამუშაოები, რომლებსაც მუზეუმის თანამშრომლები აწარმოებენ, უნდა ეთანხმებოდეს მუზეუმის მისიას და ამოცანებს, უნდა ხორციელდებოდეს არსებული იურიდიული, ეთიკური და აკადემიური ნორმების შესაბამისად.

3.6 დესტრუქციული ანალიზი

იმ შემთხვევაში, როდესაც მუზეუმი მიმართავს ე. წ. დესტრუქციულ - ანალიტიკურ მეთოდებს, აუცილებელია მომზადდეს მასალის ამგვარი ანალიზის პროცესში მიღებული მონაცემებისა და კვლევის შედეგების სრულად ამსახველი დოკუმენტაცია, პუბლიკაციის ჩათვლით. ეს მასალები უნდა შევიდეს ნივთის დაცულობის მდგომარეობის ამსახველ დოკუმენტაციაში.

3.7 ადამიანის ნაშთებისა და საკრალური მნიშვნელობის ნივთების კვლევა

ადამიანის ნაშთებისა და საკრალური მნიშვნელობის მქონე ნივთების კვლევა უნდა ხდებოდეს პროფესიული სტანდარტების დაცვით, იმ ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების რწმენის, მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებით, ვისაც თავდაპირველად ეკუთვნოდა ეს ნივთები (იხ. აგრეთვე 2.5; 4.3).

3.8 კვლევის მასალებზე უფლებების შენარჩუნება

როცა მუზეუმის თანამშრომლები ამზადებენ საველე კვლევის მასალების პრეზენტაციას ან დოკუმენტაციას, აუცილებელია ზუსტი შეთანხმების მიღწევა მუზეუმთან ასეთი სამუშაოების ჩატარების ყველა უფლებასთან დაკავშირებით.

3.9 ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება

მუზეუმის პროფესიონალები ვალდებულნი არიან ცოდნა და გამოცდილება გაუზიარონ თავიანთ კოლეგებს, იმ მეცნიერებსა და სტუდენტებს, რომლებიც შესაბამისი მიმართულებით მუშაობენ. მათ პატივი უნდა სცენ და აღიარონ იმ პიროვნებათა წვლილი, ვინც მათ გაუზიარა ცოდნა და თავის მხრივ, უშურველად უნდა გადასცენ ცოდნა და გამოცდილება მათ, ვისთვისაც ეს შეიძლება სასარგებლო იყოს.

3.10 მუზეუმების თანამშრომლობა სხვა ინსტიტუციებთან

მუზეუმის თანამშრომლებმა უნდა აღიარონ და დაასაბუთონ ანალოგიური ინტერესების და კოლექციების მქონე ინსტიტუციებთან თანამშრომლობისა და კონსულტაციების საჭიროება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმაღლეს საგანმანათლებლო და გარკვეულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთქმედებისას, როცა კვლევითი საქმიანობის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს მნიშვნელოვანი კოლექციები, რომელთაც არ გააჩნია გრძელვადიანი უსაფრთხოება.

— IV —

მუზეუმები ქმნიან ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის აღიარების, აღქმისა და მართვის შესაძლებლობებს

პრინციპი

მუზეუმებს აკისრიათ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა, განავითარონ საგანმანათლებლო საქმიანობა და მოიზიდონ ფართო აუდიტორია: ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე საზოგადოების ის ჯგუფები, რომლებსაც თვითონ ემსახურება. მუზეუმის საგანმანათლებლო როლის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს ინტერაქცია იმ საზოგადოებასთან, რომლის მემკვიდრეობასაც მუზეუმი უწევს პოპულარიზაციას.

გამოფენები და ექსპოზიციები

4.1 გამოფენები, ექსპოზიციები და სპეციალური აქტივობები

ექსპოზიციები და ფიზიკური თუ ვირტუალური დროებითი გამოფენები უნდა შეესაბამებოდეს მუზეუმის მისიას, პოლიტიკას და ამოცანებს. დაუშვებელია, ამ ღონისძიებებმა რაიმე ზიანი მიაყენოს მუზეუმის კოლექციების ხარისხსა და დაცულობას.

4.2 გამოფენების ინტერპრეტაცია

მუზეუმებმა უნდა იზრუნონ, რომ ექსპოზიციებისა და გამოფენების თანმხლები ნებისმიერი ინფორმაცია იყოს დასაბუთებული, ზუსტი და ითვალისწინებდეს წარმოდგენილი ჯგუფებისა და შეხედულებების თავისებურებებს.

4.3 სენსიტიური მასალების ექსპონირება

ადამიანის ნაშთებისა და საკრალური მნიშვნელობის მქონე ნივთების ექსპონირება უნდა ხდებოდეს პროფესიული სტანდარტების დაცვით და იმ შესაბამისი თემის, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მსოფლაღქმის გათვალისწინებით, რომელთაც ეს მასალები თავდაპირველად ეკუთვნოდა. ამგვარი მასალების პრეზენტაცია საჭიროებს განსაკუთრებულ ტაქტს და ზოგადად, ადამიანური ღირსებისადმი პატივისცემას.

4.4 მასალების ამოღება ექსპოზიციიდან

მუზეუმმა ოპერატიულად უნდა მოახდინოს რეაგირება და გაგებით მოეკიდოს საკრალური ნივთებისა და ადამიანების ნაშთების ექსპოზიციიდან ამოღების თაობაზე საზოგადოების იმ ჯგუფების მოთხოვნას, რომელთაც ეს ნიმუშები თავდაპირველად ეკუთვნოდა. ასეთივე მიდგომაა საჭირო ამგვარი ნივთების დაბრუნების თხოვნის შემთხვევაშიც. სამუზეუმო პოლიტიკაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, თუ როგორ რეაგირებს მუზეუმი ამგვარ მოთხოვნებზე.

4.5 გაურკვეველი წარმომავლობის მასალების ექსპონირება

მუზეუმებმა თავი უნდა შეიკავონ გაურკვეველი წარმომავლობისა და საეჭვო ისტორიის მქონე მასალების პრეზენტაციისა და გამოყენებისაგან. მუზეუმებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მსგავსი პრაქტიკა შეიძლება აღქმული იქნეს როგორც კულტურული ფასეულობებით უკანონო ვაჭრობის ხელშეწყობა და მასში თანამონაწილეობა.

სხვა რესურსები

4.6 პუბლიკაცია

მუზეუმის ნებისმიერი სახით გამოქვეყნებული თუ გამოცემული ინფორმაცია/პუბლიკაცია უნდა იყოს დასაბუთებული, ზუსტი და კორექტული როგორც სამეცნიერო, ასევე საზოგადოებრივი თუ კულტურული თვალსაზრისით. მუზეუმის პუბლიკაციები წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ინსტიტუციის პოლიტიკასთან.

4.7 რეპროდუქციები

კოლექციის მასალების რეპლიკების, რეპროდუქციების ან ასლების დამზადებისას მუზეუმმა უნდა გაითვალისწინოს და პატივი სცეს ორიგინალის ღირსებას და მთლიანობას. ყველა მსგავსი ასლი აღნიშნული უნდა იყოს, როგორც ფაქსიმილე.

— V —

მუზეუმები ფლობენ რესურსებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა ინსტიტუციების მიერ და ზოგადად, საზოგადოების საკეთილდღეოდ

პრინციპი

მუზეუმები იყენებენ სპეციალიზაციის, უნარებისა და ფიზიკური რესურსების ფართო სპექტრს, რომელთა გამოყენება შეიძლება გასცდეს საკუთრივ მუზეუმის ფარგლებს. ამას შეიძლება მოჰყვეს რესურსების ერთობლივი გამოყენება ან ისეთი სერვისების გაჩენა, რაც კიდევ უფრო გააფართოებს მუზეუმის აქტივობებს. ასეთი მიმართულებები ორგანიზებული უნდა იქნეს იმგვარად, რაც ზიანს არ მიაყენებს მუზეუმის მისიის შესრულებას.

იდენტიფიკაციის სერვისი

5.1 არალეგალურად ან უკანონოდ მოპოვებული ნივთების იდენტიფიკაცია

როცა მუზეუმები მონაწილეობენ იდენტიფიკაციის პროცესში, მათმა ქმედებამ არ უნდა შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ისინი ასეთ აქტივობაში ჩართულნი არიან პირდაპირ ან ირიბად სარგებლობის მიზნით. საეჭვო წარმომავლობის ან არალეგალურად შემენილი, გადაცემული, შემოტანილი თუ გატანილი ნივთის იდენტიფიკაციასა და ავთენტიფიკაციაზე ინფორმაციის გასაჯაროება არ უნდა მოხდეს მანამ, სანამ ამის თაობაზე არ ეცნობება შესაბამის ორგანოებს.

5.2 ავთენტიფიკაცია და შეფასება

შეფასება შეიძლება განხორციელდეს სამუზეუმო კოლექციის დაზღვევის მიზნით. დასკვნა სხვა ნივთების მონეტარული ღირებულების შესახებ მუზეუმს შეუძლია გასცეს მხოლოდ სხვა მუზეუმის, ან კომპეტენტური იურიდიული, სამთავრობო ორგანოებისა თუ ხელისუფლების სხვა სამსახურების ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, როდესაც მუზეუმია ბენეფიციარი, ნივთის ან ნიმუშის შეფასება დამოუკიდებლად უნდა განხორციელდეს.

— VI —

მუზეუმები მჭიდროდ თანამშრომლობენ საზოგადოების იმ ჯგუფებთან, საიდანაც მათი კოლექციები მომდინარეობს და ვისაც ემსახურებიან

პრინციპი

მუზეუმების კოლექციები ასახავენ საზოგადოების იმ ჯგუფების კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობას, საიდანაც მათი კოლექციები მომდინარეობს. სწორედ ეს გარემოება განასხვავებს მუზეუმების კოლექციებს ჩვეულებრივი საკუთრებისაგან და განსაზღვრავს მათ თავისებურებებს, რაც შეიძლება თავისთავში იტევდეს ეროვნული, რეგიონული, ადგილობრივი, ეთნიკური, რელიგიური თუ პოლიტიკური იდენტობის ნიშნებს. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მუზეუმის პოლიტიკა რეაგირებას აკეთებდეს ამ სიტუაციაზე.

კოლექციების წარმოშავლობა

6.1 თანამშრომლობა

მუზეუმებმა ხელი უნდა შეუწყონ ცოდნის, დოკუმენტაციისა და კოლექციების იმ ქვეყნებისა თუ რეგიონების მუზეუმებისა და კულტურის ინსტიტუციებისათვის გაზიარებას, საიდანაც მათი კოლექციები მომდინარეობს. შეძლებისდაგვარად პარტნიორული ურთიერთობები უნდა განვითარდეს იმ ქვეყნებისა და რეგიონების მუზეუმებთან, რომლებმაც დაკარგეს თავიანთი მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

6.2 კულტურულ ფასეულობათა დაბრუნება

მუზეუმები მზად უნდა იყვნენ კულტურულ ფასეულობათა დაბრუნების თაობაზე დიალოგისათვის იმ ქვეყანასა თუ რეგიონთან, საიდანაც ეს ფასეულობები მომდინარეობს. ეს დიალოგი უნდა წარიმართოს მიუკერძოებლად, მეცნიერულ, პროფესიულ და ჰუმანიტარულ პრინციპებზე დაყრდნობით, აგრეთვე მოქმედი ადგილობრივი, ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობის გათვალისწინებით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სამთავრობო თუ პოლიტიკურ დონეზე ქმედებას.

6.3 კულტურულ ფასეულობათა რესტიტუცია

როდესაც სათანადო მტკიცებულებების საფუძველზე, ქვეყანა ან ხალხი ითხოვს საერთაშორისო თუ ეროვნული კონვენციების პრინციპების დარღვევით გატანილი, ან სხვა უკანონო გზით გადაცემული ნივთის ან ბუნებრივი ნიმუშის დაბრუნებას და ასაბუთებს, რომ ეს ნივთი ნამდვილად წარმოადგენს მათი კულტურული თუ ბუნებრივი მემკვიდრეობის ნაწილს, მაშინ შესაბამისმა მუზეუმმა, თუ ეს კანონით დაშვებულია, ოპერატიულად უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები მისი დაბრუნების საქმეში თანამშრომლობის მიმართულებით.

6.4 ოკუპირებული ქვეყნიდან მომდინარე კულტურული ფასეულობები

მუზეუმებმა თავი უნდა შეიკავონ ოკუპირებული ტერიტორიიდან მომდინარე ნივთების შეძენისა და მიღებისაგან, სრულად დაიცვან ყველა კანონი და კონვენცია, რომელიც არეგულირებს კულტურულ და ბუნებრივ ფასეულობათა შემოტანას, გატანას და გადაადგილებას.

პატივისცემა საზოგადოების იმ ჯგუფებისადმი, ვისაც ძუზეუმი ემსახურება

6.5 თანამედროვე საზოგადოების ჯგუფები

იმ შემთხვევაში, როდესაც მუზეუმის საქმიანობა დაკავშირებულია თანამედროვე საზოგადოებასთან ან მის მემკვიდრეობასთან, კოლექციის შევსება უნდა განხორციელდეს ღიაობისა და ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, მესაკუთრის ან ინფორმატორების გამოყენების გარეშე. საზოგადოების ნებისადმი პატივისცემას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

6.6 საზოგადოებრივი საქმიანობების დაფინანსება

თანამედროვე საზოგადოების საქმიანობისთვის სახსრების ძიებისას, მუზეუმმა პატივი უნდა სცეს და გაითვალისწინოს მათი ინტერესები (იხ. 1.10).

6.7 თანამედროვე საზოგადოების კოლექციების გამოყენება

თანამედროვე საზოგადოების რომელიმე ჯგუფიდან მომდინარე კოლექციების გამოყენება უნდა მოხდეს ადამიანური ღირსებისა და იმ კულტურული ტრადიციებისადმი პატივისცემით, რომლებიც ამ კოლექციების პირველწყაროს წარმოადგენს. ასეთი კოლექციები გამოყენებული უნდა იქნეს კეთილდღეობის, სოციალური განვითარების, ტოლერანტობისა და პიროვნებისადმი პატივისცემის იდეების წინწამოწევის მიზნით - მულტისოციალური, მულტიკულტურული და მულტიენობრივი გამოხატვის ადვოკატირებით. (იხ. 4.3).

6.8 ხელშემწყობი საზოგადოებრივი ორგანიზაციები

მუზეუმებმა უნდა შექმნან სასურველი გარემო საზოგადოებრივი ხელშეწყობისთვის (მაგ., მუზეუმების მეგობართა და სხვა ხელშემწყობი ორგანიზაციები), უნდა აღიარონ მათი წვლილი მუზეუმის საქმიანობაში, ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოებასა და მუზეუმის პერსონალს შორის ჰარმონიული ურთიერთობების განვითარებას.

— VII —

ᲫᲣᲖᲔᲣᲛᲔᲑᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲜ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ

პრინციპი

მუზეუმების საქმიანობა სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო, რეგიონულ, ეროვნულ თუ ადგილობრივ კანონმდებლობას და სახელშეკრულებო ვალდებულებებს. გარდა ამისა, მმართველმა ორგანომ უნდა შეასრულოს მუზეუმის საქმიანობასა და მის კოლექციებთან დაკავშირებით ნაკისრი ყველა იურიდიული ვალდებულება და პირობები.

საკანონმდებლო ჩარჩოები

7.1 ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა

მუზეუმებმა უნდა დაიცვან ყველა ეროვნული და ადგილობრივი კანონი, ასევე, პატივი უნდა სცენ იმ სახელმწიფოთა კანონებს, რომლის მუზეუმებთანაც თანამშრომლობენ.

7.2 საერთაშორისო კანონმდებლობა

სამუზეუმო პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო კანონმდებლობის ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებები, რომლებიც წარმოადგენს ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსის ინტერპრეტაციის სტანდარტებს:

- *კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ (ჰაგის კონვენცია, 1954 და 1999 წლების პროტოკოლები);*
- *კონვენცია კულტურულ ფასეულობათა უკანონო შემოტანის, გატანისა და საკუთრებაში გადაცემის აკრძალვის შესახებ (UNESCO, 1970);*
- *კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (ვაშინგტონი, 1973);*
- *კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (UN, 1992);*
- *კონვენცია მოპარული და უკანონოდ გატანილი კულტურული ფასეულობების შესახებ (UNIDROIT, 1995 წ.);*
- *კონვენცია წყალქვეშა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (UNESCO, 2001);*
- *კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (UNESCO, 2003).*

— VIII —

მუზეუმები მუშაობენ პროფესიულ ჩარჩოებში

პრინციპი

სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენლებმა უნდა იმოქმედონ არსებული კანონმდებლობისა და სტანდარტების შესაბამისად და საკუთარი პროფესიული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ღირსეულად. მათ საზოგადოებას უნდა აარიდონ ყოველგვარი კანონსაწინააღმდეგო და პროფესიული სამუზეუმო ეთიკის შემლახავი ქმედებები. ყველა შესაძლებლობა უნდა იქნეს გამოყენებული, რათა საზოგადოებამ ნათლად გააცნობიეროს სამუზეუმო პროფესიის მიზნები, ამოცანები და მოტივები, საზოგადოების განვითარებისთვის მუზეუმების როლის უკეთ აღქმის მიზნით.

პროფესიული ქცევა

8.1 შესაბამისი კანონმდებლობის ცოდნა

სამუზეუმო პროფესიის ყველა წარმომადგენელი უნდა იცნობდეს შესაბამის საერთაშორისო, ეროვნულ თუ ადგილობრივ კანონებს, ასევე მათი დასაქმების პირობებს. მათ თავიდან უნდა აიცილონ იმგვარი სიტუაცია, რომლის პირობებშიც მათი ქმედება შეიძლება არასათანადოდ ჩაითვალოს.

8.2 პროფესიული პასუხისმგებლობა

სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, დაიცვან საკუთარი ინსტიტუციის პოლიტიკა და პროცედურები. თუმცა, მათ შეუძლიათ დასაბუთებულად გამოთქვან საკუთარი აზრი და არ დაეთანხმონ იმ ქმედებებს, რომლებიც საზიანოდ მიაჩნიათ მუზეუმისათვის ან ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის მოთხოვნებს.

8.3 პროფესიული ქცევა

კოლეგებისა და მუზეუმში დამსაქმებლებისადმი ლოიალური დამოკიდებულება წარმოადგენს მნიშვნელოვან პროფესიულ პასუხისმგებლობას და სრულად უნდა ემყარებოდეს პროფესიული ეთიკის ფუნდამენტური პრინციპებისადმი ერთგულებას. ეს პრინციპები უნდა შეესაბამებოდეს *ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსის* დებულებებს თუ სამუზეუმო საქმეში მიღებულ ყველა სხვა წესს, რეკომენდაციებს და მუზეუმის პოლიტიკას.

8.4 აკადემიური და სამეცნიერო პასუხისმგებლობა

სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენლებმა ხელი უნდა შეუწყონ კოლექციებთან დაკავშირებული ინფორმაციის კვლევას, დაცვას და გამოყენებას. ამიტომ მათ თავი უნდა შეიკავონ ყველა იმგვარი ქმედებისა თუ ვითარებისაგან, რასაც შეიძლება მოჰყვეს აკადემიური და სამეცნიერო მონაცემების დაკარგვა.

8.5 უკანონო ვაჭრობა

სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენლებმა, პირდაპირ თუ ირიბად, ხელი არ უნდა შეუწყონ კულტურული ან ბუნებრივი ფასეულობების უკანონო მიმოქცევას და ვაჭრობას.

8.6 კონფიდენციალურობა

სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენლებმა უნდა დაიცვან მათი მუშაობის პროცესში მოპოვებული კონფიდენციალური ინფორმაცია. ასევე კონფიდენციალურია ინფორმაცია მუზეუმისათვის საიდენტიფიკაციოდ გადაცემული ნივთების შესახებ და დაუშვებელია მისი გამოქვეყნება, სხვა დაწესებულების ან სხვა პირისათვის გადაცემა ამ ნივთის მესაკუთრის სპეციალური ნებართვის გარეშე.

8.7 მუზეუმისა და კოლექციების უსაფრთხოება

მუზეუმის თანამშრომლებმა უნდა დაიცვან ინფორმაციის კონფიდენციალურობა მუზეუმის დაცვის სისტემისა და იმ კერძო კოლექციებისა თუ მათი ადგილმდებარეობის შესახებ, რომელთა მონახულება მათ უწევთ თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულების პროცესში.

8.8 კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების გამონაკლისი შემთხვევები

კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების აკრძალვა ძალას კარგავს იმ შემთხვევაში, როცა ინფორმაციის მიწოდება ეხმარება პოლიციას ან სხვა სამართალდამცავ ორგანოებს, გამოიკვლიონ ფასეულობების ქურდობასთან, უკანონო შეძენასა და გადაადგილებასთან დაკავშირებული დანაშაულები.

8.9 პირადი დამოუკიდებლობა

მიუხედავად იმისა, რომ სამუზეუმო პროფესიის ნებისმიერ წარმომადგენელს აქვს პირადი დამოუკიდებლობის უფლება, მან უნდა გააცნობიეროს, რომ დაუშვებელია მისი რაიმე პირადი აქტივობა თუ პროფესიული ინტერესი სრულად გაემიჯნოს იმ მუზეუმის საქმიანობას, სადაც თვითონაა დასაქმებული.

8.10 პროფესიული ურთიერთობები

სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენლებს, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბევრ ადამიანთან უწევთ საქმიანი კონტაქტების დამყარება როგორც მათ დამსაქმებელ მუზეუმში, ასევე მის ფარგლებს გარეთ; ნებისმიერ სიტუაციაში პროფესიული მომსახურება უნდა წარიმართოს ეფექტურად და მაღალპროფესიულ დონეზე.

8.11 პროფესიული კონსულტაცია

მუზეუმის თანამშრომლის პროფესიული ვალდებულებაა, გაიაროს კონსულტაციები სხვა კოლეგებთან, როგორც მუზეუმში, ისე მის ფარგლებს გარეთ, იმ შემთხვევაში, როცა მუზეუმში არსებული ინფორმაცია არაა საკმარისი სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად.

ინტერესთა კონფლიქტი

8.12 საჩუქრები, შეღავათები, სესხები ან სხვა პირადი სარგებელი

დაუშვებელია, რომ მუზეუმის თანამშრომელმა მიიღოს საჩუქარი, დახმარება, სესხი ან რაიმე სხვა პირადი სარგებელი, რაც შესაძლოა მას შესთავაზონ სამსახურებრივი ვალდებულების შესრულების პროცესში. რიგ შემთხვევაში, პროფესიული თავაზიანობა ითვალისწინებს საჩუქრის მირთმევას ან მიღებას, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს მხოლოდ შესაბამისი ინსტიტუციის სახელით.

8.13 მუზეუმსგარეთ დასაქმება ან ბიზნეს-ინტერესები

მიუხედავად იმისა, რომ სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენლებს აქვთ გარკვეული ხარისხის პირადი დამოუკიდებლობის უფლება, მათ უნდა გააცნობიერონ, რომ ისინი არ უნდა ახორციელებდნენ რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს ან იმგვარ შეკვეთებს მუზეუმის ფარგლებს გარეთ, რაც კონფლიქტში მოდის მუზეუმის ინტერესებთან.

8.14 ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებით ვაჭრობა

სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენლები, პირდაპირ თუ ირიბად, არ უნდა მონაწილეობდნენ კულტურული თუ ბუნებრივი მემკვიდრეობის ნიმუშებით ვაჭრობაში (ყიდვა ან გაყიდვა პირადი მოგების მიღების მიზნით).

8.15 დილერებთან ურთიერთქმედება

სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენლებმა არ უნდა მიიღონ დილერისაგან, აუქციონერის ან სხვა პირებისაგან რაიმე საჩუქარი, ძღვენი ან ნებისმიერი ფორმის პირადი მომსახურება, რომლის შემოთავაზების მიზანია სტიმულირება სამუზეუმო ნივთის შეძენის ან განკარგვის, ან ისეთი ქმედების განხორციელებაზე, რაც დაკავშირებულია რაიმე ოფიციალური ნებართვის მიღება-არმიღებასთან. გარდა ამისა, მუზეუმის პროფესიონალმა საზოგადოების რომელიმე წევრთან რეკომენდაცია არ უნდა გაუწიოს კონკრეტულ დილერს, აუქციონერს ან შემფასებელს.

8.16 კერძო კოლექციონირება

სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენლებმა კონკურენცია არ უნდა გაუწიონ საკუთარ ინსტიტუციას როგორც ნივთების შეძენაში, ისე კოლექციის შეგროვებასთან დაკავშირებულ არცერთ ქმედებაში. ნებისმიერი სახის კოლექციის შეგროვებასთან დაკავშირებით, მუზეუმის ხელმძღვანელობასა და თანამშრომელს უნდა გააფორმდეს ხელშეკრულება, რომლის პირობები ზუსტად უნდა იყოს ფორმირებული და განუხრელად უნდა სრულდებოდეს.

8.17 ICOM-ის სახელისა და ლოგოს გამოყენება

ორგანიზაციის სახელი, მისი აკრონიმი ან ლოგო არ შეიძლება გამოყენებული იქნეს რაიმე იმგვარი საქმიანობის თუ პროდუქტის რეკლამირებისათვის, რომელიც მიმართულია რაიმე მომგებიანი საქმიანობის ან სარგებლის მიღებისაკენ.

8.18 ინტერესთა სხვა შესაძლებელი კონფლიქტი

ფიზიკურ პირსა და მუზეუმს შორის წამოჭრილი რაიმე სხვა კონფლიქტის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება მუზეუმის ინტერესის გათვალისწინებას.

ლექსიკონი

არაკომერციული ორგანიზაცია
იურიდიული პირი (კორპორაციის ან სხვა ფორმით), რომლის შემოსავალი (ყველა შემოსავლისა და მოგების ჩათვლით) ხმარდება მხოლოდ ამ ორგანიზაციის ინტერესებს და მის ფუნქციონირებას. იგივე მნიშვნელობა გააჩნია ტერმინს „არამომგებიანი“.

ბუნებრივი მემკვიდრეობა
ყველა ბუნებრივი ნივთი, მოვლენა თუ იდეა, რომელსაც გააჩნია სამეცნიერო მნიშვნელობა ან განიხილება სულიერების გამოვლენად.

ვაჭრობა
ნივთის ყიდვა-გაყიდვა პირადი ან ინსტიტუციისთვის მოგების მოტანის მიზნით.

ინტერესთა კონფლიქტი
პირადი ან კერძო ინტერესების არსებობა, რაც ქმნის პრინციპების წინააღმდეგობას სამუშაო სიტუაციაში და ამით ზღუდავს გადაწყვეტილების მიღების ობიექტურობას.

იურიდიული სტატუსი
შესაბამის ქვეყანაში საკუთრებაზე მესაკუთრის კანონიერი უფლებები. რიგ ქვეყნებში ეს შეიძლება იყოს მინიჭებული უფლება, რომელიც საკმარისი არაა, რომ დააკმაყოფილოს სათანადო ძიება/გამოკვლევის მოთხოვნები.

კონსერვატორ-რესტავრატორი
მუზეუმის თანამშრომელი ან დამოუკიდებელი პროფესიონალი, რომელსაც აქვს სათანადო კომპეტენცია კულტურული ფასეულობის ტექნიკური ექსპერტიზის, დაცვის, კონსერვაციისა და რესტავრაციის სფეროში (სრული ინფორმაციისათვის იხ. ICOM News, vol. 39, n°1, 1986, გვ. 5-6).

კულტურული მემკვიდრეობა
ესთეტიკური, ისტორიული, სამეცნიერო თუ სულიერი ფასეულობის მქონე ნებისმიერი ნივთი ან კონცეფცია.

მინიმალური სტანდარტი
სტანდარტი, რომლის დაცვა სავალდებულოა ყველა მუზეუმისა და თანამშრომლებისათვის. ზოგიერთ ქვეყანას მინიმალური სტანდარტების საკუთარი განაცხადი აქვს.

მმართველი ორგანო
პირები ან ორგანიზაციები, რომლებიც შესაბამისი კანონისა და იურიდიული დოკუმენტების საფუძველზე, პასუხისმგებელნი არიან მუზეუმების ფუნქციონირების, სტრატეგიული განვითარებისა და დაფინანსების უზრუნველყოფაზე.

მოქმედი სტატუსი
ნივთის საკუთრების უდავო უფლება, რაც დადასტურებულია მისი წარმომავლობის, აღმოჩენისა და შექმნის ადგილის სრული ისტორიის საფუძველზე.

მუზეუმი*
მუზეუმი არის არაკომერციული, ღია და მუდმივმოქმედი ინსტიტუცია, რომელიც ემსახურება საზოგადოებას და მის განვითარებას, აგროვებს, იცავს, იკვლევს, გადასცემს და გამოფენს კაცობრიობისა და გარემოს მატერიალურ და არამატერიალურ მემკვიდრეობას განათლების, შესწავლისა და სიამოვნების მინიჭების მიზნით.

მუზეუმის სპეციალისტი*
მუზეუმებისა და სხვა ინსტიტუციების (მუზეუმის განმარტების შესაბამისი ინსტიტუცია - იხ. ICOM-ის წესდების მუხლი 3 და 1-2 აბზაცები) ყველა თანამშრომელი და აგრეთვე, პირები, რომელთა ძირითადი საქმიანობა პროფესიულ ასპექტში დაკავშირებულია მუზეუმებისა და სამუზეუმო საზოგადოებისათვის მომსახურების გაწევასთან, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებასთან.

სათანადო გამოკვლევის ვალდებულება
თითოეული ნივთის შეძენის ან გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, აუცილებელია მისი წყაროს, წარმომავლობისა და ისტორიის თანმიმდევრული და დეტალური იდენტიფიცირება.

შემოსავლიანი საქმიანობა
ინსტიტუციისთვის ფინანსური მოგების ან შემოსავლის მომტანი საქმიანობა.

შეფასება
ნივთის ან ბუნებრივი ნიმუშის ავთენტიფიკაცია და შეფასება. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ტერმინი გამოიყენება საჩუქრად შეთავაზებული ნივთის დამოუკიდებელი შეფასებისას, საგადასახადო შეღავათების ოდენობის განსაზღვრის მიზნით.

წარმომავლობა
ნივთის სრული ისტორია, მოყოლებული მისი აღმოჩენისა თუ შექმნის მომენტიდან დღემდე, რაც იძლევა მისი ავთენტურობისა და მიკუთვნების დადგენის საშუალებას.

** შენიშვნა: ლექსიკონში წარმოდგენილი ტერმინები "მუზეუმი" და "მუზეუმის სპეციალისტი" ამავე სახით ფიგურირებს ICOM-ის წესდებაში, რომელიც დამტკიცდა ICOM-ის გენერალურ ასამბლეაზე მილანში (იტალია) 2016 წლის 9 ივლისს.*

ICOM-ის საერთაშორისო ეთიკის კოდექსის ქართული თარგმანის გამოცემა შესაძლებელი გახდა საქართველოს მუზეუმების ასოციაციის მიერ სსიპ "შემოქმედებითი საქართველოს" გრანტის ფარგლებში.

The publication of Georgian translated version of *ICOM Code of Ethics* has been made possible by Georgian Museum Association within the grant of Creative Georgia.

შემოქმედებითი საქართველო
CREATIVE GEORGIA

საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საქართველო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

COLOR GROUP

დაიბეჭდა შპს გამომცემლობა კოლორში. თბილისი, 2020

Printed in Color Group. Tbilisi 2020